ოქმი:**ო08. 3725210001**

თარიღი:**29/07/2025**

ოქმი № 7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2025 წელი, 28 ივლისი

ქ.ოზურგეთი

13:00 -13.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლ. ბიგვავა, ნ. მახარაძე, ნ. ურუშაძე, ალ. ღლონტი, გ. კილაძე, ლ. კილაძე, ბ. კილაძე, გ. შილაკაძე, გ. ჩავლეშვილი, თ. ტუღუში, დ. დარჩია, ვ. ნიჟარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთისმუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე
თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ, დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი, განაცხადა, რომ ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი შემოსულია არსებული კანონმდებლობის დაცვით, ნორმატიული სამართლებრივი აქტის მოთხოვნათა შესაბამისად, ვრცელი ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, რომელმაც აღნიშნა-ბიუჯეტი იზრდება 46 181,7 ათასი ლარით, ბიუჯეტი დაგეგმილი 43 400,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრება 89 581,7 ათასი ლარით. შემდეგ კონკრეტულად დაასახელა მთავრობის ის გადაწყვეტილებები, რომლის შესაბამისადაც გამოყოფილი იქნა დამატებითი ასიგნებები, ისაუბრა საკუთარი შემოსავლებით მიღებულ ზრდაზე, მუხლებს შორის თანხების ცვლილებებზე, ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების

მიზნით.

გადაწყვიტეს:

წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი